ორშაბათი, 13 აპრილი 1970 წელი № 5 (237) 23-ე წელი გამოდის 1948 წლის იანვრიდან

ქალი ჩვენს ცხოვრებაში



ქალი ჩვენს ცხოვრებაში

ბატონო ჯემალ,

ჩვენ ვიცით, რომ ბატონი ირაკლი ბერიძე, ბატონი ბესიკ ბერიძე, ბატონი ნოდარ ბერიძე, ბატონი ლევან ბერიძე, ბატონი ზურაბ ბერიძე, ბატონი ვახტანგ ბერიძე, ბატონი ალექსანდრე ბერიძე, ბატონი ნიკოლოზ ბერიძე, ბატონი ანდრია ბერიძე, ბატონი ბაქარ ბერიძე, ბატონი ლუკა ბერიძე, ბატონი ზაქარია ბერიძე, ბატონი ფილიპე ბერიძე, ბატონი ეფრემ ბერიძე, ბატონი ტარიელ ბერიძე, ბატონი ბენია ბერიძე, ბატონი ბესარიონ ბერიძე, ბატონი ბერი ბერიძე, ბატონი ბერიძე ბერიძე, ბატონი ბერიძე ბერიძე, ბატონი ბერიძე

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში — მინდვრებსა და ლაბორატორიებში, საამქროებსა და აუდიტორიებში, თეატრებსა და ინსტიტუტებში მამაკაცების მხარდამხარ შრომობენ ქალები — განათლებულნი, ნიჭიერნი, მცოდნენი და მუდამ მომხიბლავნი. მათ პატივსა სცემენ და აფახებენ ყოველთვის, წელიწადის ყველა დროს, მაგრამ ტრადიციულად 8 მარტს, გაზაფხულის პირველ დღესასწაულზე, უფრო მოწიწებით ეპყრობიან. ამ დღეს ყველაზე მხურვალედ ულოცავენ სიცოცხლის დაუშრეტელ წყაროს — დედას, ყველაზე ნაზ, თბილსა და გულწრფელ სიტყვებს ეუბნებიან თავიანთი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრებს, იის კონები მიაქვთ დების, მეგობარი ქალებისათვის.

ამ შესანიშნავ დღეს — გაზაფხულის მახარობელს, მის სილამაზეს, სურნელებასა და სილაღეს ულოცავს გაზეთი „საშშობლოც", მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით თავის მკითხველ ქალებს.



მუცის გვაროსა

17 სანთელი

ლამაზია ოდიში აუვსებული ჭალებითა და ველ-მინდვრებით, ნაკადულებითა და ველის ტუავად დაფენილი მთა-გორაკებით.

მაგრამ, დედავ, შენზე ლამაზი არაფერია ამ ქვეყანაზე!

გნახე და შენში დავინახე კავკასიონის მთაგრეხილის სიძლიერეცა და კეკლუცი ნაკადულების სინარინარეც, უსიერი ტყეების სიუხვეცა და ნაყოფიერი ველების ბარაქაც.

17 შვილის დედა ყოფილხარ!

„მე არ მენახა ჭეშმარიტი სახე მიწისა"... ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ ვნახე იგი, და რომ „დედამიწა თურმე ქალსა ჰგავს ბავშვით ხელში".

17 შვილსა ზრდი, ქართველო ქალო!

ვუყურებ შენს თვალხატულა გოგონებსა და ბიჭებს, ვუყურებ და ვერა ვძღები.

იცინიან, კისკისებენ კუდრაჭები.

სიცოცხლემ. დიდმა სიცოცხლემ დაიარა შენს არემარეზე.

ამ დავანებას კი. ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე ახლდა. რამდენი სიმწარე და სიხარული. რამდენჯერ ფეხზე გაგთენებია, მაგრამ არასოდეს დაგიჩივლია. რა ვქნა, ნანა, დედა ვარო, გითქვამს და გაგდომებია.

როგორ ხითხითებდნენ, ბელურებივით ულურტულებდნენ შენი ჩიორები, მათი სახელები რომ მერეოდა ხშირად.

მერე ისევ თავიდან ვიწყებდი:

ნოდარი, ბართლომე, მერი, კარლო, ნელი, ტარიელი, ზაური, ქეთევანი, ლუიზა, გიორგი, გენო, ძაბული, ვალერიანი, ხვიჩა, თეიმურაზი, ავთანდილი და თინათინი.

მინდვრის ყვავილებივით შოფენილან ხარისმუხლა ვაჟიკები და შვილისთვალება გოგონები შენს კარმიდამოზე. უფროსი ვაჟი 27 წლისა ხდება, ავთანდილსა და თინათინს, ენძელებივით რომ ამოჰფარებიან შენს კალთას, 3-3 წელი უსრულდებათ.

სიხარულით გაგხივოსნებია თვალები, დედავ!

შენს თვალებში 17 სანთელი ანთია!

„შოუ, ნანა"...

კარგად ვიცი, თოფების ბათქაბუთქით რომ გაიგო სოფელმა შენი და რამინის ბედნიერება. „კუჩხიბედინერის" შემოძახილით დამკვიდრდა ახალი ოჯახი საჯიჯაოში.

ისიც ვიცი, დედამთილმა რომ დაგბატკბო თაფლით და ყურში იდუმალ წაგჩურჩულა: ასეთი ტკბილი იყავიო, ნანა, ოჯახში!

მართლაც რომ ტკბილი და ფეხბედნიერი აღმოჩნდი — კერა ააგუზგუზე, ჭალური სითბო და მყუდროება მოჰფინე ირგვლივ.

შებინდებისას საოხარიდან მომავალ მეუღლეს პირმცინარი გამოეგებები და შუბლშეკრულ, მზით გარუჯულ მამაკაცს შენი სათნო ღიმილით დალლას ავიწუებ.

გიზგიზებს ცეცხლი ბუხარში.

ნაჭაზე ჩამოკიდებულ ქვაბში ღომი ფშვინავს.

იქვე ახლოს აკვანი ირწევა.

სოფელს შენი ტკბილი „შოუ ნანა" ეფინება.

„შოუ, ნანა", — გუგუნებს ჰერი.

„შოუ შვილო", — ტკარცალებს ბუხარი.

ყოველ წელიწადს მეორდება ოდიშური „ნანინას" გულშიჩამწვდომი მელოდია.

ყოველ წელიწადს ირწეოდა აკვანი.

17 ბავშვის სიმებივით წკრიალა ხმამ ავსო ოჯახი.

გაიხარა ჭერმა, ფუძემ.

ამ ოჯახში 17 ქორწილს გადაიხდიან.

მამულის დაძახილზე 17 წამოდგება ფეხზე.

ჭირსა და ლხინში 17 შვილი ამოუდგება დედ მამას მხარში.

როგორი სიხარულით გიბრწყინავს თვალები, დედავ!

ბარაქალა შენს ქალობას, ქართველო ქალო!

იცოცხლე, დედავ!

კურთხეულ, ტკბილ რძეს ასმევ შენს შვილებს. ბუდეშუარის წვენში გათაფლული მზე, სოფლის თავზე რომ ამოცურდება, პირველად შენს ეზოს დახედავს და ერდოზე ააყივლებს მამალს...

თენდება დილა, დილა მშვიდობიანი!

ცეცხლი გიზგიზებს მამაპაპისეული ბუხარში, წუთით არ ნელდება, რადგან შენ, დედავ, მუხის გვარისა ხარ.

შენი სხეულიდან ყლორტებს ამოუხეთქავს, 17 მწვანე ტოტს გაუბადრია შენი სახე.

მთელი საქართველო გლოცავს, კურთხეულო დედავ, ლიტლა ზარანდიავ!

გლოცავს ცა, საფირონის ცა, გლოცავს მიწა, ქართული მიწა, შენს შვილთა სიმრავლით დამძიმებული და გახარებული.

იცოცხლე, დედავ!

ნაზი შამანაური,

ხობის რაიონი, სოფელი საჯიჯაო.

● სურათზე: რამინ და ლილა ზარანდიების ოჯახი

ვახტანგ ჩხუმიანის ფოტო.

დედა

მუსიკა ოთარ თევდორაძის

სიტყვები ნიკოლოზ არეშიძის

მზე პირველად რომ ამიხელს თვალებს
და პირველად შენს სახეს რომ ვხედავ,
ის პირველი იავნანა დედა,
თან დამყვება ცხოვრებაში ყველგან.

მისამღერი:

რომ არასდროს არ დატოვოს კვალი
შენს ტკბილ გულში იარამ და სევდამ
და თუ დღემდე აგიცრემლე თვალი,
მაპატიე, საყვარელო დედა.

გენატრება მუდამ შენი შვილი
და რომ ნახავ, სიტყვის თქმას ვერ ბედავ,
როგორა ხარ მუდამ ასე თბილი,
გამიჯავრდი, საყვარელო დედა.

მისამღერი:

სამხმიანი ვარიანტი ფორტეპიანოს თანხლებით



„ო რ ე რ ა“ ს რ უ ლ ი ს ვ ლ ი თ

ასე ეწოდება ახალ სატელევიზიო მუსიკალურ ფილმს, რომელიც საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიამ გადაიღო.

ფილმში ასახავს ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლის „ორერას“ მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო — ინგლისში, კანარის კუნძულებზე, ტაიტზე, პანამაზე, ავსტრალიაში...

„ორერა“ მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. მისი შესანიშნავი წევრები ერთნაირად ძლიერნი არიან ცალფა და ანსამბლურ სიმღერებში და გვახარებენ ბრწყინვალე საშემსრულებლო მანერით. ამ ანსამბლს კარგად იცნობენ როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთის ბევრ ქვეყანაში და ყველგან ქებასა და სიყვარულს იმსახურებს. ანსამბლის ხელმძღვანელი რობერტ ბარძიმაშვილი, სოლისტები ნანი ბრეგვაძე, ვახტანგ კიკაბიძე, გენო ნადირაშვილი, ზურაბ იაშვილი, თეიმურაზ დავითაია, თეიმურაზ მელვინეთუხუცესი საოცარი უშუალობითა და ოსტატობით გამოირჩევიან. მათ კონცერტებზე გახარებთ მეგობრობის, გულღიაობისა და მხიარულების ის მომხიბლავი ატმოსფერო, რითაც ასე ნაქებია საქართველო.

არის თუ არა ნაკლოვანება ქართულ ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლის „ორერას“ კონცერტებში? — წერდა ჟურნალ „სოვეტსკაია ესტრადა ი ცირკში“ ესტრადის ცნობილი მსახიობი ლიპსკეროვი. — სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დიახ, არის! და ყველაზე დიდი ის გახლავთ, რომ შეუძლებელია ამ ანსამბლის კონცერტებზე ბილეთების შოვნა!

ახალი მუსიკალური ფილმი სრულ წარმოდგენას იძლევა „ორერას“ მრავალფეროვან პროგრამასა და საშემსრულებლო ხელოვნებაზე. აქ ანსამბლის სოლისტები უჩვეულო როლში — მეზღვაურებად გვევლინებიან.

სცენარის ავტორები არიან ავთანდილ გელოვანი და რობერტ ბარძიმაშვილი, დამდგმელი რეჟისორია ზაალ კაკაბაძე, ოპერატორი — გივი მელქაძე.

ფილმი მაყურებელმა მოიწონა.



„ო რ ე რ ა ს“ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ

წასულ წელს გერმანიის კინოთეატრების ეკრანებზე აჩვენებენ ფილმ-რევიუს „მუსიკალური მოსკოვი“, რომელიც გერმანელმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს. მისი ავტორია ცნობილი რეჟისორი როზენტალი — ფილმ „ტაკარაცუკას ქალიშვილების“ დამდგმელი. სხვა საბჭოთა მსახიობებთან ერთად, ფილმში „ორერაც“ მონაწილეობს. ანსამბლი ასრულებს ჯანსუღ კახიძის „კრიმანჭულს“, ხოლო ნანი ბრეგვაძე მღერის ძველებურ რომანსს „ვრძელ გზას“.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კინომოღვაწენი ერთობლივად იღებენ მხატვრულ ფილმ „ჩაიკოვსკის“. მასში სიმღერების გასახმოვანებლად მიწვეულია ნანი ბრეგვაძე.

კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ე ბ ი, კ ვ ე უ ნ ე ბ ი, კ ა ლ ა ქ ე ბ ი...

ქართველ მსახიობთა ოსტატობას, საბჭოთა კავშირის გარდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ. ეს ნაცნობობა დღითიდღე ფართოვდება და მრავალფეროვნდება. მაინც სად მოელიან უახლოეს მომავალში ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების წარმომადგენლებს?

ამ რა გვიპასუხა ამ შეკითხვაზე საქართველოს ფილარმონიის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ანოლონ ციფიანმა:

ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მთელ ჩვენს ქვეყანაში ეწყობა საკავშირო ფესტივალი „ხელოვნება — ხალხს“. ამ დიდ დღესასწაულში აქტიურ მონაწილეობას ქართველი შემსრულებლებიც მიიღებენ. მარტსა და აპრილში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ხუთ ახალ პროგრამას გამოიტანს ფართო სამსჯავროს წინაშე. მასში შეტანილია ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებები. სპეციალური პროგრამა მოამზადეს სახელმწიფო კაპელამ, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა და სხვებმა.

პირველ რიგში ქართველი შემსრულებლები მოკავშირე რესპუბლიკებს ესტუმრებიან. მაგალითად, მარტში, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით 20 კონცერტს გამართავს უკრაინაში, 32-ს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, ბოლოს კი თავის ხელოვნებას უჩვენებს მოსკოველებსა და ლენინგრადელებს. კამერული ორკესტრი და ვოკალური ანსამბლი „გორდელა“ გამოვლენ მოსკოვში, რიაზანსა და ვორონეჟში. სახელმწიფო კვარტეტი ეწვევა არხანგელსკს, იაროსლავლსა და ჩელიაბინსკს. საესტრადო ანსამბლი „ციცინათელა“ თავის ხელოვნებას გააცნობს მოსკოველებს, ვორონეჟელებს, ნოვოსიბირსკელებსა და ტომსკელებს. მოლდავეთსა და უკრაინაში გამოვა „ლალე“, ბელორუსიაში, ყაზახეთსა და შუა აზიაში — „ იგერია“.

ამის გარდა ქართველ მსახიობებს შორეული საგასტროლო გზებიც ელოდებათ. ამ დღეებში „ორერა“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა, იქედან კი — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვევა. ანსამბლმა მიიღო აგრეთვე მიწვევა შეერთებული შტატებიდან.

აპრილში „დიელო“ 15 კაცის შემადგენლობით ორთვენახევრიან გასტროლებს დაიწყებს აფრიკის სახელმწიფოებში. ფილარმონიის მოცეკვავეთა ჯგუფი „დოლური“ იაპონიაში გამოვა. ამომავალი მზის ქვეყანას უსტუმრებს აგრეთვე სახელგანთქმული პიანისტი ელისო ვირსალაძე, რომელიც იაპონიის შემდეგ კონცერტებს გამართავს უნგრეთში, ბულგარეთსა და პოლანდიაში.



სურათებზე: ზევით — ვახტანგ ჭაბუკიანი — მროდა, დევით მორაძის ამავე სახელწოდების ბალეტში პრომეთეს როლში; ვახტანგ ჭაბუკიანი „მრდღში“ ლილიანა მიმაცვილთან ერთად; ვახტანგ ჭაბუკიანი და ფრანგული პრიმა-ბალერინა ემერ ფალვა („ჭიზელი“). ეს სურათი გადაღებულია 1966 წელს პარიზის გრანდ ოპერის მიერ, რომლის მთელი ტრუპა მთელი სეზონის განმავლობაში ბალეტს ეთმობოდა.

ც ე კ ვ ი ს გ ა ნ უ მ ე ო რ ე ბ ე ლ ი ქ ა ი ნ დ ი

ვახტანგ ჭაბუკიანზე ამბობენ, ცეკვისათვის არისო დაბადებული.

ცეკვაა მისი სტიქია, ცეკვაა მისი სიცოცხლე, ცეკვა მისთვის დღესასწაულია, ზეიმია, მშვენიერების ჰარმონიაა.

ხელოვნებაში ვახტანგ ჭაბუკიანი საკუთარი თემით მოვიდა. სცენაზე პირველი ნაბიჯებისთანავე ცხადი გახდა, რომ იგი გმირული, ვაჟკაცური, მონუმენტური სტილის მოცეკვავეა. ჯერ კიდევ სტუდიის სტუდენტმა შეასრულა საკონცერტო ნომერი — რუბინშტეინის „ცეცხლის ცეკვა“. მოცეკვავეს ორსავე ხელში ანთებული ჩირაღდნები ეპყრა და სცენაზე ეშსპრესიულად, სწრაფად შემოიჭრებოდა. მისი შემართული, ჩამოსხმული სხეული თითქოს ცეცხლით სუნთქავდა. ამ ცეკვის სახელწოდება ჭაბუკიანის შემდგომი მოღვაწეობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. შემოქმედებითი გზის დასაწყისში დანთებული ცეცხლით ვახტანგ ჭაბუკიანი მთელი სიცოცხლე იწოდა, ნათელი, ვაჟკაცური თემა არ მოშორებია მის სცენურ ქმნილებებს.

დაუვიწყარია ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ გამოძერწილი ყოველი სახე. სხივმოსილია მისი ბაზილი „დონ-კიხოტიდან“, სიცოცხლითა და ჭაბუკური მგზნებარებით აღსავსე. შეუძლებელია გულგრილად გაიხსენო მისი გაელვება გიტარით ხელში და ცნობილი თავბრუდამხვევი დუეტი ჩელიტასთან. ვის არ ახსოვს პადე-დე მეოთხე აქტიდან და ურთულესი ვარიაცია, რომელიც გვირგვინდებოდა განთქმული, ჭაბუკიანისეული დიდი პირუეტით?

მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ვახტანგ ჭაბუკიანი პრინც ზიგფრიდის როლს ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“. პრინცის მეოცნებე და აზრიანი ბუნება, მისი უკმაყოფილება ცხოვრებით, ჭაბუკიანისათვის გმირის რომანტიკულ საფუძვლად იქცა. ჭაბუკიანის ზიგფრიდი მეოცნებეა, იგი ეძიებს თავის იდეალს და როცა პოულობს, ვაჟკაცობით, ძლიერებით ივსება. ჭაბუკიანი ბალეტში აკვიდრებს მამაკაცური ცეკვის დამოუკიდებელ, აქტიურ საწყისს. განსაზღვრავს ამ ცეკვის ქმედით ბუნებას.

როგორ არ ჰგვანან მისი პირველი გმირები ძველი საბალეტო ოპუსების მინაზებულ, ტკბილ, ტრაფარეტულ კავალრებს! რა თამამად და გამომწვევად არღვევს ჭაბუკიანი განმტკიცებულ შტამპებს, რა შეუპოვრად ეძიებს უკვე პირველ პარტიებში თავის საკუთარ ქორეოგრაფიულ ენას — პლასტიკურად გამომსახველს, ვაჟკაცურად ამაღლებულს! განსაკუთრებული ძალით აღერდა ოცდაათიან წლებში მისი ჟერომი ბორის ასაფიევის ბალეტში „პარიზის ალი“.

1934 წელს ვახტანგ ჭაბუკიანი საგასტროლოდ იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქაურმა პრესამ უმაღლესი შეფასება მისცა საბჭოთა მსახიობის ხელოვნებას.

ჭაბუკიანის ცეკვის კლასიკურ ბუნებას არ განსაზღვრავს მარტოოდენ ნაზთა აკადემიური სიმკაცრე. მისი ცეკვის საერთო მონახაზი ყოველთვის უფრო ვრცელია იმ „კანონებთან“ შედარებით, რომელსაც თვით კლასიკური ცეკვის ფორმა გვთავაზობს. ჭაბუკიანის ყოველი მოძრაობა სცენაზე — ცეკვა თუ უბრალო გავლა, აღსავსეა საოცარი, განსაკუთრებული შთაგონებით, ექსპრესიულობითა და ცეცხლოვანებით.

ჭაბუკიანის — მოცეკვავის ხელოვნება განუყოფელია მისი რეჟისორული შემოქმედებისაგან. იგი ბრწყინვალე დამდგმელი და შემსრულებელია არა მარტო ცალფა ნომრებისა, არამედ მასობრივი ცეკვების დადგმის სწორუპოვარი ოსტატიც არის.





ვახტანგ ჭაბუკიანის როგორც ბალეტმაისტერის, პირველი დირსშესანიშნავი ქმნილება იყო ანდრია ბალანჩივაძის „მთვრალ გული“, რომელიც 1938 წელს ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, ხოლო მოგვიანებით თბილისში განხორციელდა.

ბრწყინვალე იყო ჭაბუკიანის ჯარჯი, აღსავსე იმ სტიქიური, მწველი ტემპერამენტით, რომელიც უფლებამოსილია შეერჯინოს ცეკვის კლასიკური ხაზის სამკაცრეს და რომელიც კი არ არღვევს ამ ხაზს, არამედ ანიჭებს მას განუმეორებელ ეროვნულ თავისებურებას.

დიდებული იყო ჭაბუკიანის ფრონდოზო („ლაურენსია“), ელეგანტური, ტანშემართული რაინდი, რომელშიც ვნებათა ღელვა, ტემპერამენტი, მჩქეფარება შერწყმულია სულიერ კდემამოსილებასთან და საცეკვაო ნახაზის სირბილესთან.

ჭაბუკიანის შემოქმედება ღრმად ეროვნულია. მისი დადგმები და საბალეტო სახეები გამოკვეთილია ეროვნული კოლორიტის მძაფრი გრძნობით. საბალეტო კლასიკის რეალურ პრინციპებს ორგანულად ახამებს ქართული ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების ჰათოსსა და ხასიათთან და ამის საფუძველზე ქმნის ქართულ საბჭოთა ბალეტს.

სწორედ ამან განაპირობა მის მიერ დადგმული ბალეტების — გრიგოლ კილაძის „სინათლის“, დავით თორაძის „გორდას“ და „მშვიდობისათვის“, ალექსი მაჭავარიანის „ოტელოს“ წარმატება ამ უკანასკნელში ჭაბუკიანმა მოახდინა მთელი თავისი უმდიდრესი შემოქმედებითი გამოცდილების სინთეზირება. სინთეზის ამავე გზას გასდია ბალეტმაისტერმა სულხან ცინცაძის ბალეტ „დემონში“.

ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებას კარგად იცნობენ საზღვარგარეთაც. უცხოურ პრესაში მას ადარებენ გრიგალს, როდენის მიერ გამოძერწილ ქანდაკებას, უწოდებენ „ლეგენდარულ ჭაბუკიანს“. მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავედ თვლიან. ეს აღტაცებული გამოხმაურებანი კიდევ ერთხელ ადასტურებენ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილი, დიდი ხელოვნება, თავისი არსით ხალხური, ყოველთვის და ყველასათვის გასაგებია და მარად ახლობელია.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი. ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ხალხში, მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ვახტანგ ჭაბუკიანი დღეს 60 წლისაა. მაგრამ იგი კვლავ უბერებელი, ჭაბუკური და ახალგაზრდული ცეცხლით ანთებული, ცეკვის განუმეორებელი რაინდია, განსაცვიფრებელი მოცეკვავეა, რომელზეც ლეგენდები დაიწერება.

ე თ ე რ გ უ გ უ შ ვ ი ლ ი,
ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მისამართი: ბილიომ დე-ლილის არქივი

„კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა მეფის საჭიროებისათვის შედგენილია მისივე განკარგულებით ქართველი თავადის სოფკამ საბას ხელნაწერი მასალების მიხედვით, აგრეთვე სპარსეთის საელჩოს ელჩების კრუზიუსის, ზურაბეკისა და ფაბრიციუსის მიერ, რომელთაც განმარტება მიიღეს ამ ქვეყნის მცოდნე მრავალი პირისაგან, შედარებულია ასტრონომიულ დაკვირვებებთან სამეფო მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფის გილიომ დე-ლილის მიერ. 1723 წლის 15 აგვისტო“.

ასეთი მინაწერი აქვს რუკას, რომელიც საფრანგეთში გამოიცა და რომლის მიხედვითაც დასავლეთ ევროპა პირველად გაეცნო საქართველოს.

ცნობილია, რომ 1713 წელს სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთში იმოგზაურა და ლუი XIV გადასცა ვახტანგ VI წერილი, რომლითაც იგი ფრანგთა მეფეს სპარსეთის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. სამაგიეროდ, ქართველები პირობას დებდნენ, რომ მიიღებდნენ კათოლიკობას, ხოლო ფრანგი ვაჭრები და მისიონერები დაუბრკოლებლად ივლიდნენ საქართველოს გავლით სპარსეთისა და ინდოეთისაკენ. იმისათვის, რომ საფრანგეთის მეფეს ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა იმ ქვეყანაზე, რომელიც დახმარებას ითხოვდა, საბამ მას თავისივე ხელით შედგენილი საქართველოს რუკაც გადასცა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ელჩის მიერ ჩატანილი სწორედ ეს რუკა და „ხელნაწერი მასალები“ დაედო საფუძვლად გილიომ დე-ლილის მიერ 1723 წელს შედგენილ „კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკას“.

გილიომ დე-ლილის რუკაზე საქართველოს ტერიტორია სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო დეტალურად და ზუსტად არის წარმოდგენილი, რაც სულხან-საბას მიერ (შეიძლებელია ვახტანგ მეექვსესთან, ან მისი დახმარებით) შედგენილი რუკის მაღალ ხარისხსა და სრულყოფაზე მეტყველებს.

საფრანგეთში გამოცემულ რუკაზე წარმოდგენილია შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ტერიტორია, კასპიის გადაღმა მხარე (თურქმენეთი, ბუხარა, უზბეკეთი), მთელი ჩრდილო სპარსეთი და ჩრდილო ოსმალეთი (თურქეთი), რუკაზე შტრიხებით არის აღნიშნული მთები, მთავარი სამიმოსვლო გზები და გასაჩერებელი ადგილები, მსხვილი დასახლებული პუნქტები. საქართველოდან ყველაზე სრულად ქართლი არის ნაჩვენები და, რაც მთავარია, რუკაზეა ორბელიანთა (საორბელო) საგვარეულო რეზიდენცია — ტანძია, აგრეთვე ორბელიანთა საგვარეულო სამარხი ფიტარეთი, მაშინ როდესაც სხვა ქართველ ფეოდალთა ადგილსამყოფელი აღნიშნული არ არის.

ეს რუკა მალე გახდა ცნობილი ევროპის გეოგრაფ-კარტოგრაფებისათვის. ჰამბურგის გეოგრაფიული მუზეუმის რექტორს იოჰან ჰიუბნერს შეუგროვებია და აღუწერია გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ჰოლანდიის მხარეების იმდროინდელი საუკეთესო რუკები (ლანდკარტები). 1726 წელს ეს აღწერილობა ცალკე წიგნად გამოვიდა. იოჰან ჰიუბნერის კოლექციაში მოხვედრილია გილიომ დე-ლილის მიერ 1723 წელს პარიზში გამოცემული რუკაც. ჰიუბნერი ამ რუკის შესახებ წერს: „რუკაზე უმთავრესად გამოხატულია პროვინციები, რომლებიც კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის მდებარეობენ და რომელთა შესახებ აქამდე ნაკლებად სანდო ცნობები მოგვეპოვებოდა. განსაკუთრებით გულმოდგინედ არის დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგია (საქართველო), რისთვისაც გამოყენებულია გარკვეული წერილობითი მემუარები, რომლებიც სოფკამ საბამ, გეორგიის პრინცმა, მოამზადა“.

როგორც იტყვიან, ფაქტები კომენტარს აღარ საჭიროებენ. სულხან-საბა ორბელიანის მიერ საფრანგეთში დატოვებული მასალები მართლაც რომ მაღალი ხარისხისა უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საბამ ლუის ფაქტიურად საქართველოს მსხვილმასშტაბიანი რუკა გადასცა.

სამწუხაროდ, სულხან-საბას ხელნაწერი მასალები, მის მიერ შედგენილი რუკა ჩვენთვის დღესდღეობით დაკარგულია. სახელოვან ელჩს საფრანგეთში ჩატანილი საქართველოს რუკა უკან აღარ წამოუღია. რამდენადაც გილიომ დე-ლილი იყო ამ რუკის მთარგმნელი და ფრანგულად გამომცემელი, ალბილი შესაძლებელია, რომ დედანი მისსავე არქივში ინახებოდეს. ამ მასალის მიკვლევა და დღის სინათლეზე გამოტანა გარკვეულ წვლილს შეიტანდა ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ პარიზში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, მეცნიერ მუშაკებს, ქართული კულტურითა და მეცნიერებით დაინტერესებულ ყველა პირს.

მამულიშვილთა ნაამაგარის დაფასება, მათი შთამომავლობისათვის გადაცემა ხომ ყველას ერთნაირად გვევალება!


გრიგოლ ზარდალიშვილი,
პროფესორი.

გვაცხოვდეს ჩვენი წარსული

50 საუკუნის ფინალი








სურათებზე: ზევით — ნიოფებიდასაკრძალავი დარბაზიანი სამარხიდან: ქვევით — მოჭიქული თიხის ჭურჭელი, ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეები; შუაში — ბრინჯაოს ამზინდა, I საუკუნე; მარჯვნივ — ექსპედიციის მეცნიერ-თანამშრომლები ალექსანდრე რამიშვილი და ვახტანგ წიკოლაიშვილი; ბრინჯაოს მახვილი, II ათასწლეულის ბოლო ხანები.





ეკანასკნელ წლებში თბილისის ჩრდილო-დასავლეთით შეიქმნა კიდევ ერთი ახალი დასახლება — — „დიღმის მასივი“. გზის გაყვანისა თუ სახლების მშენებლობისას აღმოჩენილი უძველესი ქართული კულტურის ძეგლების გადასარჩენად ამ ადგილებს არაერთხელ სწვევიან არქეოლოგები. 1968 წლის დეკემბრიდან კი დიღმის მასივისა და მისი მომიჯნავე ტერიტორიის შესწავლას სავანგებოდ შეუდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია.

დიღმის ხეობაში არსებული სხვადასხვა დროისა და განსხვავებული ხასიათის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლებიდან ჯერჯერობით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შესწავლილი. ზოგიერთი მათგანის გათხრა ჯერაც არ არის დამთავრებული. მოპოვებული მასალის უდიდესი ნაწილი ლაბორატორიული დამუშავების პროცესშია.

განსაკუთრებით ბევრი საყურადღებო ძეგლი გამოვლინდა ამ ბოლო ხანს. ირკვევა, რომ თბილისის ახალ დასახლებას — „დიღმის მასივს“ 50 საუკუნის ისტორია ჰქონია. ეს ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ადრე-ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული ფეოდალური ხანის ჩათვლით. აქ ექსპედიციამ წლეულს აღმოაჩინა ქრონოლოგიურად ურთიერთმონაცვლე, ერთმანეთზე განლაგებული სამი შენობის ნაშთი. ამ შენობებთან დაკავშირებული კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურისა თ ვ ი ს არის დამახასიათებელი და ადრე-ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქვედა ფენასთან დაკავშირებულ „სანაგვე ორმოებში“ მტკვარ-არაქსის კულტურის განმსაზღვრელ თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ბზენარევი კერამიკაც, რომელიც ქვის ხანიდან ლითონის ხანაზე გარდამავალი პერიოდისათვის — ენეოლითისათვის არის ნიშანდობლივი. ამ ორივე პერიოდის (ენეოლითი, ადრე-ბრინჯაოს ხანა) დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის თანაარსებობა სხვაგან არსად ყოფილა დადასტურებული. აქ საქმე გვაქვს ისეთ ძეგლებთან, რომელთა შესწავლა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ იმას, თუ როგორ ენაცვლება აღნიშნულ ტერიტორიაზე ენეოლითის ადრე-ბრინჯაოს ხანა. ეს ძეგლები IV ათასწლეულის ბოლო ხანებითა და 3 ათასწლეულით თარიღდება.

დიღმის მასივი ყველაზე ინტენსიურად ყოფილა დასახლებული გვიანი ბრინჯაოს-ადრეულ რკინის ხანაში (დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XV-VI საუკუნეები). ამ დროის ნასახლარები არსებობს „თრელი-გორებად“ წოდებულ ბუნებრივ ბორცვებზე, რომლებიც ერთ კილომეტრზეა გადაჭიმული. კავკასიის ტერიტორიაზე მრკვლეული ამ პერიოდის რამდენიმე ასეული ნასახლარიდან ეს დასახლება თავისი გრანდიოზულობით გამოირჩევა. შესწავლილი ნაგებობანი წარმოადგენს ერთოთახიან შენობებს, რომლის უკანა მხარის ქვედა ნაწილი ადგილად შლად თიხაშია ამოჭრილი. შენობები მცირე ზომის ნაგებია ქვით არის ნაგები. ოთახებში იატაკი თიხატკეპნილი ყოფილა, ხოლო კედლები თიხით შელესილი. შენობებს გადახურვა ბანური უნდა ჰქონოდა. ყველა საცხოვრებელი ოთახის ჩრდილოდასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა სამზარეულო ღუმელი და მასთან დაკავშირებული სამსხვერპლო-საკურთხეველი. ამ დასახლების სამაროვანს ორ ათეულამდე ჰექტარი უჭირავს. აქ ორი ტიპის სამარხები გვხვდება: ქვაყრილიანი ორსამაროვნები და სამარხი დასაკრძალავი დარბაზით. ეს უკანასკნელი, რომელიც დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებით თარიღდება, შიგ აღმოჩენილი ნივთების თავისებურებითა და მრავალრიცხოვნებით გამორჩევა და, როგორც ჩანს, წარჩინებულ მეომარს, საფიქრებელია, ბელადს ეკუთვნოდა.

სამარხში აღმოჩნდა ასამდე თიხის ჭურჭელი, პასტის, სარდიონისა და ქარვის მძივები, რამდენიმე ათეული ბრინჯაოს და რკინის ნივთი, ამის გარდა, მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ მსხვილფეხა (ზროხა) და წვრილფეხა (ცხვარი, ღორი) საქონელი და, როგორც ჩანს, ნანადირევი (კვერნა).

აღმოჩენილი ნივთებიდან სინატიფითა და მაღალმხატვრულობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბიკონისებური ბრინჯაოს სადგარზე მდგარი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ღვთაების ქანდაკება (ვფიქრობთ, წარჩინების ნიშანი), ცხენის თავების სკულპტურული გამოსახულებანი (სავარაუდოა შტანდარტის თავები), თიხისაგან გამოძერწილი გრძელკისრიანი ცხოველი, ზოომორფული თიხის ჭურჭელი — „ვერძები“, გეომეტრიული სახეებით შემკული შავპრიალა თიხის ჭურჭლები, ორმხრივ გახვრეტილი ბიკონისებური ფორმის, რიტუალური დანიშნულების კერამიკული ნივთები და მოჭიქული თიხის სასმისები. მიცვალებული შეიარაღებული ყოფილა ბრინჯაოს ჩაჩქანით, სამკლავეებითა და შუბისა და ისრისპირებით. სამარხში ექვს ჯგუფად განლაგებული იყო თორმეტი ცხენის აჯახმულობა (სხვადასხვა ტიპის ლაგამები, სამკერდულები, საკისრე რგოლები ზარაკებითურთ, ცხენის ცხვირსაფრები და სხვა). მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ღვინის სასმისები (ხელადები, ფიალები, ორ და სამჭურჭლიანი „მარნები“ „ვერძები“) მოწმობს, რომ დიღმის ხეობაში იმ დროს განვითარებული იყო მიწათმოქმედების ყველაზე კულტურული დარგი — მევენახეობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ეს სამარხი თავისი თანადროული სამარხებიდან გამორჩევა როგორც დასაკრძალავი დარბაზის სიდიდით, ისე მასში აღმოჩენილი მასალის სიმრავლითა და ნაირსახეობით. ეს ფაქტი კი თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ იმ ხანებში დიღმის ხეობაში სახლობდა კულტურულად, ეკონომიურად და, საფიქრებელია, პოლიტიკურადაც საკმაოდ დაწინაურებული ტომი.

დიღმის ველი ანტიკურ და ადრე ფეოდალურ ხანაშიც მჭიდროდ დასახლებული ჩანს. ამ დროის სამაროვნებსაც საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს.

ამ სამარხებიდან ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის წარჩინებული მეომრის სამარხზე. მასში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარი აღმოჩნდა: რკინის გრძელი ორპირლესიანი მახვილი, სატევარი, შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირი, ბრინჯაოსა და ვერცხლის აბზინდები და ბალთები, ოქროს ორნაწილედი სამაჯური და ორი რკინის ბეჭედი სარდიონის თვლებით. ერთზე გამოსახულია მაღალფეხიანი სასმისი მარადიული ცეცხლით, ხოლო მეორეზე — ათენა პალადა, რომელსაც ერთ ხელში შუბი უჭირავს, მეორეში კი ფარი. ამის გარდა, აღსანიშნავია აქვე აღმოჩენილი რომის იმპერატორ ავგუსტუსის ორი ვერცხლის დინარი. მიცვალებულისათვის შეუწირავთ ცხენი და ძაღლი.

ამ ძლიერი დასახლების განვითარების ძირითადი ხელშემწყობი პირობა იყო მესაქონლეობისათვის არსებული განსაკუთრებული ხელსაყრელი მდებარეობა და ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმული ნოყიერი სახნავ-სათესი მიწა, რომელიც ადრეული ხანიდანვე ირწყვებოდა. ამის გარდა, ძნელად მისადგომ ბორცვებზე არსებული დასახლება იცავდა დიღმის ხეობას და თრიალეთის საზაფხულო საძოვრებზე გადასასვლელ გზებს, კონტროლს უწევდა იმ მაგისტრალურ გზას, რომელიც მტკვრის ხეობაზე გადიოდა. ეს უკანასკნელი ანტიკური ხანიდან მსოფლიო სავაჭრო გზის ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოადგენდა.

ამრიგად, მოპოვებული მასალები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიღმის ხეობაში არსებულმა ესოდენ ძლიერმა დასახლებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის მსხვილ დასახლებულ პუნქტად, ხოლო შემდგომში საქართველოს დედაქალაქად ჩამოყალიბებაში.

ექსპედიცია მუშაობას განაგრძობს.

როსტომ აბრამიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დიღმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ანდერძად დატოვებული

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელმძღვანელობას 1933 წლის 31 იანვარს მიუმართავს ზაქარია ფალიაშვილისათვის და უთხოვია წარედგინა მის ნაწარმოებთა სია სასწავლო პროგრამაში შესატანად.

ზაქარია ფალიაშვილს იმავე წლის 2 თებერვალს შემდეგი პასუხი გაუგზავნია: „ა/წ 31 იანვარს კონსერვატორიის შეკითხვაზე გირდგენთ სიას ჩემი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც მიზანშეწონილად მიმაჩნია შეტანილი იქნას კონსერვატორიის სასწავლო პროგრამაში: ვოკალური: „ნანა“, „ნუ თვალთმაქცობ“, „მიყვარდა“, „ჩისთვის მიყვარხარ“, „დამკვრელის სიმღერა“. ვოკალური ანსამბლები: „გაფრინდი, შავო მერცხალო“ (მამაკაცთა 4 ხმისათვის), „კახური სუფრული“, „ჩაკრულო“, „ქართული იავნანო“ (ქალთა სამი ხმისათვის), „მრავალჟამიერ“ (ექვსი ხმისათვის), ოპერებიდან — აბესალომი — „ეთერის არია“, „ეთერისა და აბესალომის დუეტი“ (II სურათი), „აბესალომის არიოზო“, „ეთერისა და ნათელას დუეტი“, „აბესალომისა და მურმანის დუეტი“, „წამწამსა და წამწამს შუა“— ანსამბლი. „დაისიდან“ — „მაროსა და მალხაზის დუეტი“ (I მოქმედება), „სულო ბოროტო“, „კიაზოს არია“, „დამისხი, დამალევინე“, „კიაზოსა და ცანგალას დუეტი“, „მაროს სცენა და არია“, „მაროს ტირილი“, „ლატავრადან“ —„ლატავრას გამოსვლა“, „ინკუბუსის კუპლეტები“, „ნენოს ვედრება“, „ტრიო“ — ლატავრა, ნენო, გურამ-გუნდით“. საორკესტრო — „ქართული სიუიტა“ 3-4 ნაწილიდან. „ქართული იავნანო“, ბალეტი „აბესალომ და ეთერიდან“, „შესავალი დაისიდან“. „ქართული“ „დაისიდან“, „კანცონეტა“, ბალეტი „ლატავრადან“.

ჩვენი ვარაუდით, ეს აღმოჩენილი წერილი კონსერვატორიისადმი უკანასკნელია, რადგან 1933 წლის აპრილიდან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე — 6 ოქტომბრამდე იგი მძიმე ავადმყოფობის გამო სარეცელს იყო მიჯაჭვული.

როდესაც ამ იშვიათ რელიკვიას ვეცნობოდით, ისეთი გრძნობა დაგვებადა, თითქოს ამით ემშვიდობებოდა დიდი კომპოზიტორი თავის საყვარელ კონსერვატორიას, ხოლო ანდერძად უტოვებდა ხსენებულ დოკუმენტს რა ესწავლათ მისი შემოქმედებიდან. ეს წერილი ფრიად საინტერესოა აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ მალე ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი აღინიშნება.

ვაჟა ჩინჩალაძე,

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

გამოიცემა პირველად

ავტოცემლობა „ხელოვნებამ“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად დასამუშავებლად მოამზადა და მალე გამოსცემს ძველი ქართული ხელნაწერების ალბომს.

ალბომში წარმოდგენილია მხოლოდ 50 ნიმუში იმ თვალშეუვლები სიმდიდრისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული და რომელთა მხატვრული თავისებურება ფართო საზოგადოებრიობას აქამდე არ უხილავს. მასში შესულია ძველი ქართული მინიატურული მხატვრობის, წიგნის გაფორმების, ხელნაწერების უბრწყინვალესი ნიმუშები, დაწყებული V საუკუნიდან (ბოლნისის ტაძრის ეგრეთ წოდებული სამშენებლო წარწერა) XVI საუკუნის ჩათვლით.

—ეს არის, — აღნიშნა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარმა რედაქტორმა გურამ ქველაძემ, — ძველი ქართული ხელნაწერების პოლიგრაფიული გამოცემის პირველი ცდა და ქართველ პოლიგრაფისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქმეს ჩინებულად გაართვეს თავი.

აღსანიშნავია, რომ ორი-სამი გამონაკლისის გარდა, ყველა რეპროდუქცია გადაღებულია უშუალოდ ორიგინალიდან. ალბომი ფერადია. მაქსიმალური სიზუსტით არის მიღწეული ორიგინალების ფერთა გადმოცემა.

გამოცემის რედაქტორია ცნობილი ქართველი ხელოვნებისმცოდნე ვახტანგ ბერიძე. მის შედგენაში დიდი წვლილი შეიტანა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ელენე მეტრეველმა. ნიმუშების მიმოხილვითი წინასიტყვაობა (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) ეკუთვნის ელენე მაჭავარიანს. ალბომი მხატვრულად გააფორმა გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარმა მხატვარმა ზურაბ კაპანაძემ.



სურათზე: ალავერდის ოთხთავი 1054 წლის ყდის მოჭედილობა წმინდა გიორგის გამოსახულებით.

კვლავ „თავად წერეთლის“ შესახებ

პატივცემულო რედაქტორო!

ამ წერილით მოგმართავთ ელენე მაჩაბელ-ჩერქეზიშვილისა, ივანე მაჩაბლის ასული.

„სამშობლოს“ 12 დეკემბრისა და 27 თებერვლის ნომრებში „თავად წერეთლის“ ვინაობის შესახებ მოთავსებულმა წერილებმა აღმიძრა მოგონებები, რომლებიც მსურს გავუზიარო გაზეთის მკითხველებს.

XIX საუკუნის ევროპასა და რუსეთში ფართოდ იყო ცნობილი სასიქადულო ქართველი მოჯადრაკის ანდრია დადიანის (1850-1910 წ.წ.) სახელი. თბილისელმა მოჯადრაკემ და შურნალისტმა თენგიზ გიორგაძემ გამოიკვლია მისი ცხოვრება, შემოქმედება და დაწერა წიგნი „თამაშობს ანდრია დადიანი“, რომელსაც წლეულს დასტამბავს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე ზუგდიდში თავისი რეზიდენციისათვის დიდებული შენობა აუგია და სამკაულად, ვენეციის მსგავსად, „წყლისჭუჭრებიანი“ ბაღიც გაუშენებია. მნახველს ახლაც ხიბლავს ამ სასახლის არქიტექტურა და სილამაზე.



მთავრინას ყოფილ სასახლეში დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმია, ბაღი კი ზუგდიდელთა კულტურისა და დასვენების პარკად იქცა. სწორედ ამ მუზეუმის სიმყუდროვეში მიუჩინეს ბინა ანდრია დადიანის პირად არქივს, ნივთებს.

— საინტერესოა, თქვენ აქ საიდან? — ცნობისმოყვარეობა ვერ დაფარა ილიკომ.

— მოსაწყენი ისტორიაა, 1924 წლიდან აქა ვარ. ამჟამად ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ ბიჩში ვცხოვრობ (ლევან დადიანი ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა). როცა გავიგე თქვენი ჩამოსვლა, აქეთ გამოვეშურე... დღეს მე უბედნიერესი კაცი ვარ მთელ ამერიკაში... ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს! — თქვა და ხმა შეუსუსტდა, ბაგეები აუთრთოლდა, მერე სასმისი გადაჰკრა.

— მე თქვენთან სათხოვარი მაქვს, — განაგრძო მან. — საქართველოსათვის განძს ვინახავ, — თქვა და მოწიწებით ამოიღო ჯიბიდან სათი. — ეს სათი ეკატერინე ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, იგი ინგლისში მისი დაკვეთით არის გაკეთებული.

მან სათი გადმოაბრუნა, ხუფი ახსნა და ინგლისური წარწერა წაიკითხა: „ეს სათი არის გაკეთებული ინგლისის დედოფლის მესაათის მიერ“.

ეკატერინეს თავს ერჩია უმცროსი ვაჟი ანდრია, რომელიც წარმატებას აღწევდა ჰადრაკის თამაშში. დედამ საყვარელ ვაჟს დაბადების ღღეს სჩუქრად უძღვნა ეს სათი. ანდრიამ მასზე მოახატინა ჰადრაკის ფიგურებიანი საგვარეულო გერბი. სათი აჩვენებს დროს, კვირას, თვესა და მთვარის მოქცევას.

— ამ სათს, — განაგრძობს მოხუცი, ანდრია მუდამ თან ატარებდა. მისი სიკვდილის შემდეგ სათი ჭონდა ბიძაჩემს, უჩას... უცხოეთს შეხიზნულ ბიძას ის დაუგირავებია, შემდეგ კი გამოსყიდვის საშუალება აღარა ჰქონია და მასზე უფლება დაუკარგავს. მისი სიკვდილის შემდეგ სათის არსებობა ყველას გადავიწყდა. ამ რამდენიმე წლის წინათ შემთხვევით აღმოვაჩინე იგი ერთ კოლექციონერთან, მაგრამ მან მოყიდვაზე უარი მითხრა. გადავწყვიტე, როგორც მემკვიდრეს სასამართლოსათვის მიმემართა. ასეც მოვიქეცი. საქმის მოგება 2 ათასი დოლარი დამიჯდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიე. დღემდე ამ ნივთს არ ვიშორებდი, მეგონა, მასთან ერთად თან დამყვებოდა ჩემი წინაპრების ლოცვა-კურთხევა... დღეს კი გადავწყვიტე თქვენ გაგატანოთ სამშობლოში. მეშინია, ჩემი სიკვდილის შემდეგ ისევ უცხოს არ ჩაუვარდეს ხელში. მინდა ეს სათი ზუგდიდის მუზეუმს გადასცეთ.

ამ სიტყვებით მან ილიკო სუხიშვილს სათი გაუწოდა, ოფლის წვეთები ცხვირსახოცით მოიწმინდა და მომდგარი ცრემლი ძლივს შეიმაგრა“.

არქივში დაცულია ქართველი მოჯადრაკის პორტრეტები, მათ შორის, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის საპარადო ფორმაში გადაღებული. როგორც ჩანს, ეს დადიანის უკანასკნელი სურათია.

უდავოდ საინტერესოა ნიჭიერი მოჯადრაკის მოპოვებული დიპლომები, სარჩუკრები.

სასიქადულო ქართველი მოჯადრაკის კუთხეს, ისევე, როგორც იქვე მოწყობილ ჰადრაკის დედოფლის ნონა გაფრინდაშვილის სასახელო გამარჯვებათა ამსახველ მასალებს. მუდამ ჰქავს ბევრი დამთვალიერებელი.

სურათზე: ანდრია დადიანი.

მუზეუმის სიმყუდროვეში

ბევრჯერ შევხებივარ აქ ქართველი მოჯადრაკის ხელმონაკიდებ წიგნებს, რვეულებს, ჰადრაკს...

მდიდარია დადიანის საჭადრაკო წიგნებისა და უურნალების ბიბლიოთეკა. აქ არის უნიკალური წიგნებიც. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკა მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

ნამდვილი განძია დადიანისათვის გამოგზავნილი წერილების კოლექცია. აქ არის მსოფლიოს ჩემპიონების — სტეინიცისა და ლასკერის, აგრეთვე XIX საუკუნის სხვა გამოჩენილი მოჯადრაკეებისგან გამოგზავნილი ბარათები. ეს წერილები ადასტურებენ, თუ რა ინტენსიური საჭადრაკო ცხოვრებით ცხოვრობდა ანდრია.

მუზეუმში დაცულია დადიანის ნაქონი სპილოს ძვლის ჰადრაკი. კომპლექტს შავი მხედარი აკლია. მუზეუმში ხუმრობენ: „სამეგრელოში ძველად ვაუკაცობად მიაჩნდათ ცხენის ქურდობა. ჩანს, რომელიღაც „რაინდს“ გული საგულეში არ დაუყენა დადიანის ნაქებმა მხედარმაო“.

თვალს იტაცებს ანდრია დადიანის ნაქონი ოქროს სათი, რომელიც მუზეუმს ამერიკის შეერთებული შტატებიდან 1959 წელს ჩამოუტანა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ილიკო სუხიშვილმა. ეი რას წერდა ამის თაობაზე ზუგდიდის საქალაქო გაზეთი „მებრძოლი“.

„სან-ფრანცისკოში, მერაბიშვილის რესტორანში მაგიდასთან ქართველი მოცეკვავეები სხედან. მასპინძელია ლევან დადიანი, უცხოეთში შემოღამებული ქართველი, რომლის თვალებშიც უსაზღვრო სევდა ჩამდგარა.

— საინტერესოა, თქვენ აქ საიდან? — ცნობისმოყვარეობა ვერ დაფარა ილიკომ.

— მოსაწყენი ისტორიაა, 1924 წლიდან აქა ვარ. ამჟამად ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ ბიჩში ვცხოვრობ (ლევან დადიანი ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა). როცა გავიგე თქვენი ჩამოსვლა, აქეთ გამოვეშურე... დღეს მე უბედნიერესი კაცი ვარ მთელ ამერიკაში... ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს! — თქვა და ხმა შეუსუსტდა, ბაგეები აუთრთოლდა, მერე სასმისი გადაჰკრა.

— მე თქვენთან სათხოვარი მაქვს, — განაგრძო მან. — საქართველოსათვის განძს ვინახავ, — თქვა და მოწიწებით ამოიღო ჯიბიდან სათი. — ეს სათი ეკატერინე ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, იგი ინგლისში მისი დაკვეთით არის გაკეთებული.

მან სათი გადმოაბრუნა, ხუფი ახსნა და ინგლისური წარწერა წაიკითხა: „ეს სათი არის გაკეთებული ინგლისის დედოფლის მესაათის მიერ“.

ეკატერინეს თავს ერჩია უმცროსი ვაჟი ანდრია, რომელიც წარმატებას აღწევდა ჰადრაკის თამაშში. დედამ საყვარელ ვაჟს დაბადების ღღეს სჩუქრად უძღვნა ეს სათი. ანდრიამ მასზე მოახატინა ჰადრაკის ფიგურებიანი საგვარეულო გერბი. სათი აჩვენებს დროს, კვირას, თვესა და მთვარის მოქცევას.

— ამ სათს, — განაგრძობს მოხუცი, ანდრია მუდამ თან ატარებდა. მისი სიკვდილის შემდეგ სათი ჭონდა ბიძაჩემს, უჩას... უცხოეთს შეხიზნულ ბიძას ის დაუგირავებია, შემდეგ

ოესახებ

ალექსი წერეთელი დიახ აკაკის შვილი იყო. იგი და დედამისი კარგად მახსოვს, რადგანაც ძალიან დაახლოვებული იყვნენ ჩვენს ოჯახთან, დედაჩემთან — ანასტასია ბაგრატიონთან, ვანო მაჩაბლის მეუღლესთან.

აკაკის ვაჟი ალექსი, რომელსაც შინაურობაში ლოლიას ეძახდნენ, ანტრეპრენიორობას ეწეოდა გატაცებითა და საოპერო ხელოვნების დიდი სიყვარულით, თუმცა განათლებით, თუ არ ვცდები, ინჟინერ-ტექნოლოგი იყო. გარეგნულად არც მამამისის სახის სათნოება და არც დედის სილამაზე არგუნა ბედმა, მაგრამ ურთიერთობაში ოშვიათად სასიამოვნო, თავაზიანი, პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი ჯახლდათ, ამასთანავე — დიდად განათლებული. მეტწილად მაშინდელ პეტერბურგში ცხოვრობდა, სადაც სახელგანთქმული მარიინის თეატრში მუშაობდა, მაგრამ მუდამ მიისწრაფოდა ეწუშავა თბილისში და ქართველი საზოგადოებისათვის სარგებლობა მოეტანა. ორი სრული სეზონი თბილისში გაატარა და თბილისის ოპერის თეატრში ჩამოჰყავდა გამორჩენილი მომღერლები. თბილად მიიღო თბილისის საზოგადოებამ ალექსის მიერ მოწვეული ცნობილი მომღერლები: ვანბრანტი, მედვედევი, ტარტაკოვი, ფიგნერი და სხვები. ფიგნერი მეუღლითურთ საჩხერეშიც ეწვია აკაკის.

როცა აკაკი მძიმედ ავად გახდა (მეორედ დაეცა დამბლა, როგორც მახსოვს, 1905 წელი უნდა ყოფილიყო), აკაკის მეუღლე და ვაჟი სასწრაფოდ გამოვიძახეთ. თბილისში ჩამოსვლისას ისინი ჩვენთან დაბინავდნენ და დარჩნენ, სანამ აკაკი არ მოკეთდა. მაშინ მოხდა ჩვენს ოჯახთან დიდი დაახლოება. ყველა განიცდიდა აკაკის ავადმყოფობას, დიდი თუ პატარა. ჩემმა ცამეტი წლის ძმამ ნიკომ ბავშვური ლექსიც კი დაწერა მაშინ:

„ავად გაგვიხდა მგოსანი,
შემოხვევიან ქალები,
ტკბილ სიტყვებს უუბნებიან,
ვერ აუხილეს თვალები“...

აკაკის გარდაცვალების შემდეგ ალექსი და დედამისი უკვე გამუდმებით პარიზში ცხოვრობდნენ. ალექსი ხშირად გვწერდა. დღემდე მაქვს შენახული მისი კეთილი, გულამაჩუყებელი წერილები, რომლებსაც დედაჩემის გარდაცვალების გამო მწერდა.

შემდეგშიც ხშირად იწერებოდა. წერილებიდან, რომლებიც შემომრჩა, ჩანს, რომ მას მუდამჟამ აინტერესებდა ქართველი საზოგადოების ცხოვრება, რომელთანაც დიდებული მამის სხვენა აკავშირებდა. აინტერესებდა ქართული კულტურა, ხელოვნება, უხაროდა, როცა ჩემგან წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთის ამონაჭრებს იღებდა.

აი რამდენიმე ამონაწერი მისი წერილებიდან, რომლებიც ოციანი წლებით არიან დათარიღებული.

„გმადლობთ სასიამოვნო ცნობისათვის ძვირფას და დაუვიწყარ მამაჩემზე და გაზეთების ამონაჭრებზე“.

„ბედნიერი ვიქნები, თუ მექნება მამაჩემის თხზულებები. გამეხარდება, თუ იმასაც გამომიგზავნით“...

„გმადლობთ ცნობისათვის ოპერის შესახებ. ძალიან მაინტერესებს დავით ანდღულაძე. რა ხმა აქვს — ტენორია თუ ბარიტონი? გამომიგზავნეთ ფოტოსურათი და რეცენზიები. როგორ მღერის ინაშვილი? ფალიაშვილს სურდა ჩამოსვლა, მაგრამ არ ჩანს“...


ბატონი იოსებ გოგოლაშვილი „სამშობლოში“ წერს, ალექსის განზრახული ჰქონდა პარიზში „აბესალომ და ეთერის“ დადგმაო. ალექსის თხოვნით მეც მომიხდა ამის თაობაზე ზაქარია ფალიაშვილთან და მის მეუღლესთან რამდენჯერმე შეხვედრა და მოლაპარაკება, მაგრამ ზაქარიას ბედმა არ აიარა...

ჩემში დიდი კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია სასიქადულო მგოსნის აკაკის შვილის — კეთილი ადამიანის ალექსის გახსენებამ გაზეთის ფურცლებზე და ჩემი მადლობაც მსურს მოვახსენო ბატონ იოსებ გოგოლაშვილს.


ელენე მაჩაბელ-ჩერქეზიშვილისა,


აბასთუმანი. მთა ყანობილი. ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიბლიოთეკა.













ბედნიერი ადამიანი

ფილმი ალექსანდრე ალოვისა და ვლადიმერ ბასილაშვილის

მოთხრობის მიხედვით

მონაწილეობენ: ვასილ ანდრონიკაშვილი — მამა, ანზორ ქუთათელაძე — ბიძა, ნანა ბერიძე — ბიძაშვილი, ნანა ბუაჩიძე — ბიძაშვილის ცოლი, ნანა ბუაჩიძე — ბიძაშვილის ცოლი, ნანა ბუაჩიძე — ბიძაშვილის ცოლ

სპორტი

სპორტული ქრონიკა

ორიოდე დღის შემდეგ თბილისს დიდი ფეხბურთი ეწვევა. 15 მარტს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“.

ამავე დღეს ქუთაისის ტორპედო თავის მოედანზე ჩვენი ქვეყნის შარშანდელი წლის ჩემპიონს მოსკოვის „სპარტაკს“ მიიღებს.

● თბილისის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც „ა“ კლასის 1 ჯგუფში გამოდის, საწვრთნელ შეკრებაზეა ლესელიძეში. იგი ინტენსიურად ემზადება კარზე მომდგარი სეზონისათვის.

გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია იმ ფეხბურთელებით, რომლებიც შარშან იცავდნენ მის ღირსებას. არის მხოლოდ ერთი სიახლე — წლეულს „ლოკომოტივში“ თამაშის სურვილი გამოთქვა ცნობილმა ფეხბურთელმა მიხეილ მესხმა, რომელიც ერთდროულად უხელმძღვანელებს ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლას. იგი „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ითამაშებს მხოლოდ მაშინ, როცა მატჩები თბილისში გაიმართება.

● სოფელ რუხში ფიზკულტურა და სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფეხბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ხელბურთის, ლელოს, მძლეოსნობის, ველოსპორტისა და ჭადრაკის სექციებში სოფლის 200 ახალგაზრდაა გაერთიანებული.

● კიდევ ერთი სპორტული მიღწევით გაგვახარეს ქართველმა მოჭიდავეებმა. ტალინში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატზე (აქ პირველობა გაიმართა 5 წონითს კატეგორიაში), ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონმა **რომან რურუამ** და ჩვენი ქვეყნის ექსჩემპიონმა **თეიმურაზ მაჭავარიანმა.**

● თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი სპორტის სასახლის პრიზზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ლიახვი“ და „შევარდენი“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ლიახვმა“.

● ფოთში დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში. უკვე მოეწყო 12 ტური. გაშარჯვების რეალური შესაძლებლობას ორი მოჭადრაკე — ბუხუტი გურგენიძე და რომან ჯინჯიხაშვილი ინარჩუნებენ. დღეისათვის თითოეულს ცხრანახევარი ქულა აქვს.



ბერნს ფლოს თბილისელთა კალათბურთის ასპირანტი სხვა-რელი.

ვალერიან გენგიურის ფოტო.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

თბილისის სპორტის სასახლე ორიდან 8 მარტამდე დიდ კალათბურთს მასპინძლობდა.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითს შეჯიბრებას ბევრი კითხვისათვის უნდა გაეცა პასუხი. გარდა იმისა, რომ უნდა გარკვეულიყო, ვის ექნებოდა უფლება, ებრძოლა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისათვის, აქ, თბილისში საბოლოოდ უნდა გამოვლენილიყვნენ უძლიერესი მოთამაშენი, რომლებიც მაისში იუგოსლავიაში მსოფლიო პირველობაზე სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას დაიცავენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ უველაზე მეტად თბილისის „დინამოს“ თამაში გვაინტერესებდა. საქმე ის არის, რომ საქართველოს პირველი გუნდი ასაკობრივ კრიზისს განიცდის და ახალგაზრდები, რომლებიც ახლა დინამოს შემადგენლობაში შეჰყავთ, უოველთვის როდი გვიჩვენებენ დიდ კალათბურთს.

პირველ დღეს თბილისელები აღმავლობით იბრძოდნენ და 20 ქულის სხვაობით სძლიეს კიევის სკა-ს (104:84), მაგრამ მეორე დღეს „დინამოს“ მატჩის მოგება გაუჭირდა აუტსაიდერის ჯგუფის წარმომადგენელთან სვერდლოვსკის „ურალმაშთან“. მხოლოდ უკანასკნელ წამებში სძლიეს მას ანგარიშით 82:80. მესამე ტურში „დინამომ“ დამატებით ხუთ წუთში გაიმარჯვა ტარტუს „კალევთან“ — 87:86. მეოთხე ტურშიც თამაშის ბედი დამატებით ხუთ წუთში გადაწყდა. ამჯერად მათ ანგარიშით 81:80 დაამარცხეს კიევის „სტროიტელი“. გულშემატკივრებს უველაზე მეტი მღელვარების გადატანა ტურნირის მეხუთე დღეს მოუხდათ. ამ დღეს „დინამო“ რიგის სკა-ს ხვდებოდა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად სამი დამატებითი დრო დაინიშნა. 116:115 გაიმარჯვეს რიგელებმა. უკანასკნელი მატჩი თბილისელებმა მოსკოვის არმიელებთან წააგეს.

დღეისათვის თბილისის „დინამო“ 12 ქულით მეშვიდე ადგილზეა, „ქარიშხალა“ კი ექვსი ქულით მეათე ადგილზე იმყოფება.



თორმეტი წელიწადი შეუსრულდა ქართულ საცირკო კოლექტივს. მან თავისი არსებობის მანძილზე ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალ ქალაქში ათასობით წარმოდგენა გამართა და მილიონობით მაყურებელს ქართული ხალხური სანახაობრივი კულტურის ელემენტებითა და ეროვნული კოლორიტით აღსავსე პროგრამა უჩვენა.

ქართულ საცირკო დასს მოკლე, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს: მისი შექმნის იდეა ჯერ კიდევ 30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო ცირკის პირველმა დირექტორმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რომანოზ გამსახურდიამ წამოაყენა. შემდეგ ამ საქმეზე ზრუნავდა მეორე დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლადო კავსაძე. მაგრამ მათი სურვილი იმ პერიოდში არ განხორციელებულა.

გავიდა ხანი და 1957 წელს თბილისის ცირკის დირექტორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის გრიგოლ ვენაძისა და მთავარი რეჟისორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ირაკლი ყანჩაველის ინიციატივით დაიწყო ქართული საცირკო კოლექტივის ჩამოყალიბება, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა გიგა ლორთქიფანიძემ, ნიკოლოზ სანიშვილმა, მხატვრებმა ლადო გუდიაშვილმა, ვახტანგ ზარიძემ, კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ, ქორეოგრაფმა ჯანო ბაგრატიონმა.

ამ დროისათვის საქართველოს ჰყავდა ცირკის ნიჭიერი მსახიობები, რომლებიც „საცირკო კონვეიერში“ გუშაობდნენ და წლების მანძილზე გამოდიოდნენ საბჭთა კავშირის სხვადასხვა მანეჟზე. ესენი იყვნენ რუსეთის დამსახურებული არტისტი, მაცარი და ძაღლების მწვრთნელი ალექსანდრე ცხომელიძე, ეკვილიბრისტი გოლიაძეები, თავისუფალ მავთულზე მომუშავე ლუდმილა და მიხეილ ლალაშვილები, ორიგინალური ჟანრის მსახიობი ალექსანდრე დადეშქელიანი და ღერძის ოსტატები აღდგომელაშვილები. პირველად მათი ნომრები დადგინდა. მაგრამ, ცხადია, ეს ხუთი ნომერი სრულყოფილი პროგრამისათვის საკმარისი არ იქნებოდა. მაშინ ცირკში მუშაობის მრავალი მსურველი აღმოჩნდა. აქ მოვიდნენ კინოს, თეატრის, ფილარმონიის მსახიობები, ახალგაზრდა სპორტსმენები, რომელთაც შეექმნეს ქართული ცირკის მომავალი დასი.

დიდი მონდომებითა და ენერგიით დაიწყო პროგრამის მზადება, საცირკო ნომრებში ეროვნული ფორმების შეტანა. ცნობილია, რომ ძველ საქართველოში ბაზრობისა და სახალხო დღესასწაულების დროს მოედნებზე გამოდიოდნენ ბერიკები, ყეენები, ტაკიმასხარები, მუშაითები, ჯანბაზები, მაოცარები, ფალავნები, ეწყობოდა გაწვრთნილი ცხოველების ჩვენება, ცეკვნოსნობა და სხვა სპორტული ასპარეზობანი. ახალი კოლექტივი სწორედ ამ ეროვნულ სანახაობათა ზოგიერთი ელემენტის აღდგენისა და ცირკის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნებისაკენ მიისწრაფოდა.

ამ მხრივ ახალმა დასმა სასურველ შედეგებს მიაღწია.

ცეცხლი მანეჟზე

დადგა პრემიერის დღეც: 1958 წლის 19 თებერვალს თბილისის ცირკში აინთო ათასფერი ჩირაღდნები და მაყურებელმა პირველად ნახა ახლად დაბადებული კოლექტივის საჩვენებელი წარმოდგენა. მალე დასმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, რის შემდეგ დაიწყო მისი საგასტროლო მოგზაურობა, ნომრების სრულყოფა, მსახიობთა დაოსტატება, პროგრამის ახალი ჟანრებით შევსება, გამდიდრება.

ახლა პროგრამა ყველგან დიდი მოწონებით სარგებლობს. ქართველი მსახიობები პირდაპირ ცეცხლს ანთებენ მანეჟზე. წარმოდგენა იხსნება პროლოგით: ლამაზი ორნამენტებით შემკულ სარბიელზე გამოდის მთელი დასი. ცენტრში დადგმულ კვარცხლბეკზე ადის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსანდრე თედიაშვილი და კოლექტივის სახელით ესალმება მაყურებელს. იმართება ფეხმარდი ჭაბუკებისა და ქალიშვილების ცეკვა. შემდეგ მანეჟს ეუფლება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლექსო მჭედლიშვილის მხატვრულ-აკრობატული ჯგუფი. მისი ლამაზი პირამიდები, ძალოსნური ილეთები მაყურებელთა მუდმივ ტაშით ჯილდოვდება.

მხიარულებასა და სიცილს იწვევს პატარა ეტლებსა და ჭართულ ურმებში გაბმული ძაღლების მანეჟზე გამოჩენა. (მომთვინიერებელი — ელენე ცხომელიძე). განსაკუთრებით საინტერესოა „სახედრის“ სცენა, რომელსაც ასრულებს თეთრი ფინია.

მაყურებელს აცვიფრებს ორიგინალური ჟანრის ოსტატის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ალექსანდრე დადეშქელიანის გამოსვლა. მას ფეხის თითები იმდენად განვითარებული აქვს, რომ თავისუფლად იღებს ჭიქას, ხატავს, ფურცლავს ჟურნალს, ანთებს ასანთს, თლის ფანქარს, ისვრის თოფს, მართავს მაჯის საათს...

მრავალჟანრობრივია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ჰამლეტ ნატროშვილის ხელოვნება. მან ამას წინათ უმოკლეს დროში შექმნა ხაჭარო ნომერი, რომლისთვისაც მოამზადა ახალგაზრდა სპორტსმენები თენგიზ სამხარაძე, ნათელა ბაგაური, ელადიმერ დანელია და ზაველ სადოევი. ხუთეულის გამოსვლა აღინიშნება დიდი გაბედულებით, სწრაფი ტემპით, სპორტული მომზადებით.

ჭართული ცირკის ცხენოსანთა ჯგუფი გაბედული მხედრებისაგან შედგება. მაყურებელი აღტაცებაში მოდის, ზოგჯერ შიშით თვალს ხუჭავს, როცა უყურებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნანა მელქაძის, მერაბ გარსევანიშვილის, ედუარდ ფარსადანიშვილის, ანზორ კუტალაძის, მაირაჭე ვარშიევისა და სხვების სახიფათო, თავბრუდამხვევ ჯირითს. ცხენოსნო ილეთებს...


პროგრამას მსვლელობის დროს დაძაბულად მუშაობს მაოცართა ჯგუფი. კომიკოსები ალექსანდრე თედიაშვილი, ჰამლეტ ნატროშვილი, ლევ მინერალოვი ნომრებს შორის პაუზებს საინტერესო რეპრიზებით, ბუფონადური, სახუმარო სცენებით ავსებენ.

სხეულის პლასტიკურობას, ცილამაზეს, ძალას, გამძლეობას გვიჩვენებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები, ეკვილიბრისტი მიხეილ ლალაშვილი, აკრობატი გურამ გარსევანიშვილი, რგოლებზე მოვარჯიშე ბერიძეები, თავისუფალ კიბეზე მოუშაო გოლიაძეები, რაკეტაზე ტანმოვარჯიშე მაცაბერიძეები და სხვები, რომელთა ნომრების განხილვა, ცხადია, შორს წაგვიყვანს. ერთი კი უნდა ითქვას, რომ კოლექტივის გასტროლები, ყველგან, ამ ხელოვნებისადმი სპეციალურად განწყობილ ადამიანებსაც კი იზიდავს.

საცირკო ხელოვნების პრობაგანდაში მიღწეული წარმატებებისათვის ჭართულ ცირკს, არსებობის ათ წლისთავზე რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივის საპატიო წოდება მიენიჭა.

ჭართული ცირკი სამ თვეს იმყოფებოდა საგასტროლოდ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. იქიდან დაბრუნების შემდეგ ჭართველ ცხენოსანთა ჯგუფი ეწვია პარიზს. ამჟამად კოლექტივი წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში.

ვახტანგ ნიკოლაიშვილი



სურათებზე: ზემოთ — თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობის ხედი; ქვემოთ — ალექსი მჭედლიშვილის მხატვრულ-აკრობატთა ჯგუფის პირამიდა; ძახედან და ლუდმილა ლალაშვილები.

ნოდარ ჭირგინაშვილის, ელგუჯას ნადარეიშვილისა და გენადი სანაიას ფოტოები.



შამფურზე შემწვარი სულუგუნი

საშუალო სიდიდის ახალი სულუგუნი წამოაგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერჩხალზე ან სპირტის ალზე ორსავე მხარეს.

შემწვარი სულუგუნი სუფრაზე ცხლად მიიტანეთ.

სულუგუნი შეიძლება უშამფუროდაც შეიწვას ცხიმიან ტაფაზე, მთლიანად ან მოგრძო ნაწილებად დაჭრილი.

სუფრაზე მიტანისას მორთეთ ტარხუნით ან პიტნით.



მარტი წინ რომ გედოს...

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ნამდვილი გაზაფხული იდგა. მზის მცხუნვარება, ათასფერად აყვავებული ხეხილი საამო განწყობილებას ქმნიდა.

9 მარტს კი ტემპერატურა მკვეთრად შეიცვალა. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ დიდი თოვლი მოვიდა, რიონის ხეობაში გრიგალისებური ქარი ქროდა.

თოვლის საბურველმა მესტიაში 50 სანტიმეტრს მიაღწია, საგარეჯოში — 20, თბილისში — 16.

თვის მეორე ნახევარში მოსალოდნელია მცირე ღრუბლიანი მშრალი ამინდი, იქროლებს ქარი. თვის ბოლოს სითბო 19-24 გრადუსს მიაღწევს.



ის უფრო ადრე მიუტანია

(ხალხური)


ბაზრობიდან სახლში მომავალ ლამაზ ქალს, რომელსაც წინ ვირი მიუძღოდა, გზაზე ერთი აბეზარი მოამიკე ნაცნობი შემოხვდა. ნაცნობმა უთხრა:


— თუ ღმერთი გწამს, შენს ქმარს შენი პირით კოცნა მინდა გავუგზავნო და ნუ გამაწბილებ.


— აი, ამ ვირს გაატანე, ის უფრო ადრე მიუტანს, — უთხრა ქალმა ბრიყვ მგზავრს და გაშორდა.




ჩვენი მასპინძლის მარანში









დედაქალაქელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილს „თბილისის ზღვას“ ამიერიდან მეტი სტუმარი ეყოლება. სულ ახლახანს აქ გაიხსნა ახალი მარანრესტორანი — „იორი“.

პროექტის ავტორებმა, არქიტექტორებმა ოთარ ლითანიშვილმა და ლერი კენჭოშვილმა ნამდვილი ეროვნული, ქართული სტილის ნაგებობათა კომპლექსი შექმნეს, რომელიც 2 ცალკე შენობისა და 6 ფანჩატურისაგან შედგება. რესტორანს შეუძლია ერთდროულად 350 სტუმარი მიიღოს.

პირველ კორპუსში მოთავსებულია ბანიანი საბანკეტო დარბაზი, აქვეა ეროვნული სტილით ნაგები აუზი ცოცხალი თევზებისათვის. დიდ ნათელ დარბაზებში მყუდროებას ქმნის ძველებური ლიფლიფები, მოგიზგიზე ბუხარი. მუხის დაბალი ტაბლებისა და სკამების გვერდით მოთავსებულია ქვევრები ღვინის ამოსაღები ორშიმოებით. რესტორნის ძირითად სავაჭრო დარბაზს აქვს ღია ვერანდა, რომელიც თბილისის ზღვის გამწვანებულ პარკს გადაჰყურებს.

რესტორნის მეორე დარბაზში მოთავსებულია მარანი, სადაც დგას ღვინის კასრები. მომხმარებელს შეუძლია თვითონ შეარჩიოს მისთვის სასურველი ღვინო. ეს დარბაზი და ამავე შენობაში მოთავსებული ორი საბანკეტო ოთახი, აგრეთვე ოთახ-კაბინეტი გაფორმებულია ქართული ეროვნული სტილით, ბუხრებითა და ძველი ქართული ავეჯით — ტაბლებითა და სკამებით. მაგიდები სერვირებულია სპეციალური თიხის ჭურჭლით.

ქართული ეროვნული კულინარული ნაწარმის დასამზადებლად მოწყობილია როგორც ჩვეულებრივი სამზარეულო, ისე დამხმარე სპეციალური საამქრო საფირმო ნაწარმის — ქათმის, ბურვაკისა და გოჭის შაშხის, შებოლილი სულუგუნისა და კუპატის გამოსაყვანად.

შეუკვეთე ყველაფერი, რითაც განთქმულია ქართული სამზარეულო — ცხელი მჭადი, კეცზე შემწვარი ვარია, ქოთნის ლობიო, მწვადები, ღომი სულუგუნით, კუპატი, ხაჭაპური, ღვინო დოქებით... დამერწმუნეთ, უმადაყოფილო არ დარჩებით.

ნათქვამია, ასჯერ მოსმენილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. როცა თბილისში მოხვდებით, აუცილებლად ესტუმრეთ რესტორან „იორს“. გულუხვი მასპინძლის ლაზათი, სტუმართმოყვარეობა და სამზარეულო განუმეორებელ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

სურათებზე: მარცხნივ, ზევით — სტუმრების მოლოდინში, ქვევით — ღია აივნის ერთ-ერთი კუთხე. მარჯვნივ, ზევიდან — ძველებური ლიფლიფები, რა სჯობია საკუთარი ხელით დაჭერილ კალმახს, მეგრული ფაცხა.

დაგეძებენ, მოგელიან

ივანე (ვანო) იოსების ძე გაჩეჩილაძეს,

დაბადებულს 1912 წელს ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშაში, ეძებენ მეუღლე — **ლიდა გაჩეჩილაძე**, შვილები — **რომან, ნაფოლა, ლილი გაჩეჩილაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ლენინის ქუჩა № 82.

გიორგი ვასილის ძე გედოშვილს,

დაბადებულს 1922 წელს თბილისში, ეძებენ დები — **ლუბა და ქენია გედოშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, ლენინის ქუჩა № 46/50.

ვალიკო (ვალერიან) იაგორის ძე ლაზუაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს ყაზახის რაიონის სოფელ ყარაღაჯში, ეძებენ მამა — **იაგორი**, დედა — **ნინო**, და — **დუსია ლაზუაშვილები**, მცხოვრებნი მცხეთაში, ნავთსადენში.

შოთა ივანეს ძე ძნელაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში, ეძებენ დები — **რაისა და დარიკო ძნელაძეები**, მცხოვრებნი ბაბილოში, ლენინის ქუჩა № 75 (VI ს. დარბაზო. III სართული).

ვახტანგ ილიას ძე დანელიას,

დაბადებულს 1920 წელს გეგეჭკორის რაიონის, სოფელ ლეხაინდრაოში, ეძებს დედა — **ეფროსინე**, და — **ვენერა**, ძმა — **გურამ დანელიები**, მცხოვრებნი სოფელ ლეხაინდრაოში.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: ბაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 6 კაპ.